



**მონიტორინგის ანგარიში № 02**

<b>ორგანიზაციის დასახელება</b>	შპს „BLACK SEA SHIPPING REGISTER“
<b>აუდიტორიები</b>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპარტამენტის უფროსი - დავით ჯინჭარაძე;</li> <li>2. დროშის კონტროლის სამმართველოს უფროსი / ინსპექტორი - მამუკა თავართქილაძე;</li> <li>3. დროშის კონტროლის სამმართველოს ინსპექტირების მენეჯერი - ნინო ასათიანი;</li> <li>4. ხარისხის უზრუნველყოფისა და ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - თეონა ხაბეიშვილი;</li> </ol>
<b>აუდიტის თარიღი</b>	29 ივლისი 2022
<b>მისამართი</b>	ქ. ბათუმი ლერმონტოვის ქუჩა N108
<b>აუდიტის ტიპი</b>	გეგმიური მონიტორინგი
<b>წინა აუდიტის თარიღი</b>	11/03/2022

**განმარტებები:**

**შეუსაბამობა** - სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.

**შენიშვნა** - დარღვევა, რომელიც გამოწვეულია მექანიკური შეცდომით ან მოხდა ერთჯერადად და არ მოქმედებს საბოლოო შედეგზე.

**რეკომენდაცია** - რჩევა პოტენციური შეუსაბამობის და შენიშვნის თავიდან ასარიდებლად.

**შესავალი:**

ხელშეკრულების საფუძველზე აღიარებული ორგანიზაციას მიმდინარე წლის 11 მარტს ჩაუტარდა გეგმიური მონიტორინგი. წინა მონიტორინგის დროს დაფიქსირებული 2 შენიშვნიდან გამოსწორებულია ერთი შენიშვნა, ხოლო მეორე შენიშვნა კვლავ დარჩა, რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

**შედეგები:**

**1. ორგანიზაციის პოლიტიკა, მიზნები, კონტექსტი, ორგანიზაციული სტრუქტურა**

ორგანიზაციამ წარმოადგინა დამტკიცებული პოლიტიკისა (15.12.2021) და მიზნების (16.02.2022) დოკუმენტები, პოლიტიკა შეესაბამება ორგანიზაციის საქმიანობას და დასახულია 7 გაზომვადი მიზანი, თუმცა ვერ დასტურდება აღნიშნული დოკუმენტების პერსონალთან გაცნობა.

**აღნიშნულთან დაკავშირებით ფიქსირდება შენიშვნა**



### 1. დოკუმენტთა მართვა

აუდიტის მსვლელობისას წარმოდგენილი იქნა დოკუმენტთა და ჩანაწერთა მართვის პროცედურა, Qu-PR-05, რომლის დამტკიცების თარიღია 19.02.2018, ხოლო გადახედვა ცვლილებების გარეშე განხორციელდა 19.02.2021-ში.

აღნიშნული დოკუმენტის მეშვიდე თავში განმარტებულია, როგორ უნდა ხდებოდეს დოკუმენტებზე ხარისხის იდენტიფიცირების მინიჭება, ხოლო 7.1.2 პუნქტი განმარტავს დოკუმენტების რეესტრის არსებობას, რომელშიც განახლებული ინფორმაცია უნდა შეიტანებოდეს, ორგანიზაციაში გამოყენებული დოკუმენტების დამტკიცების თარიღისა და რევიზიის მითითებით. აღნიშნული გადამოწმდა თავად დოკუმენტთა და ჩანაწერების მართვის პროცედურის მაგალითზე. რეესტრში გაკეთებული # 9 ჩანაწერის მიხედვით - დოკუმენტების და ჩანაწერების მართვის პროცედურა დამტკიცებულია 09.08.2017-ში, როცა თავად ორიგინალ დოკუმენტზე მითითებულია დამტკიცების თარიღი 19.02.2018. განხილულ იქნა ასევე ხარისხის მართვის სისტემის სახელმძღვანელოს იდენტიფიცირება, მინიჭებული აქვს ნომერი 001/1, რომელიც ვერ იძებნება დოკუმენტთა რეესტრში და პროცედურის თანახმად, აღნიშნული დოკუმენტის იდენტიფიცირების ფორმატი მითითებულია შეცდომით. ორგანიზაციის პილიტიკისა და მიზნების დოკუმენტებიც არ არის იდენტიფიცირებული დოკუმენტთა და ჩანაწერთა მართვის პროცედურის, Qu-PR-05 თანახმად.

#### აღნიშნულთან დაკავშირებით ფიქსირდება შეუსაბამობა

### 2. ორგანიზაციის რისკები

ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს რისკების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია 02.04.2021-ში, წარმოადგინეს ასევე რისკების მართვის პროცედურა #Qu-PR-01. დოკუმენტში მოცემული რისკების მოხდენის ალბათობა არ არის განსაზღვრული რისკების მართვის პროცედურის თანახმად და რისკის შემცირებისთვის გასატარებელი პრევენციული ზომები არ არის კონკრეტული. წინა წლის რისკების დოკუმენტის ანალიზი არ ჩატარებულა

#### აღნიშნულთან დაკავშირებით ფიქსირდება შეუსაბამობა

### 3. შიდა აუდიტი

ორგანიზაციაში შიდა აუდიტი ტარდება წელიწადში ერთხელ, წარმოადგინეს 25.07.2022 წელს ბოლო ჩატარებული შიდა აუდიტის მასალები. მათი განმარტებით, შიდა აუდიტი ჩაატარა ორგანიზაციის დირექტორმა, ხოლო მიმდინარე წლის 2-5 აგვისტოს ოფის მენეჯერი, რომელიც ტრენინგის მერე ჩართული იქნება ხარისხის სისტემის უზრუნველყოფაში, გაივლის შიდა აუდიტის ტრენინგს, რათა შემდგომი აუდიტი ჩატარდეს ეფექტურად და თავისი საქმიანობა არ შეაფასოს თავად დირექტორმა.



**აღნიშნულთან დაკავშირებით ეძლევათ რეკომენდაცია** - ხარისხის სისტემის საკითხების დაკისრებისა და ტრენინგის გავლის შემდგომ, დაუყოვნებლივ იქნეს შეყვანილი ოფის მენეჯერის სამუშაო აღწერილობაში (JD-03) აღნიშნული ვალდებულებები, რადგანაც აუდიტის ჩატარების დღეს, ის სიტყვიერი დავალების საფუძველზე ასრულებდა ხარისხის მენეჯერის ვალდებულებებს.

#### 4. **საქმიანობის დაგეგმარება - სამოქმედო გეგმა**

ორგანიზაციამ წარმოადგინა 2022 წლის საქმიანობის სამოქმედო გეგმა, # BSSR-2-0030, მასში ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, დაგეგმილია ღონისძიებები და მითითებულია შესრულების ვადა და შესრულების დასტური, თუმცა რიგ შემთხვევებში, მიზანი და დაგეგმილი ღონისძიება არ გამომდინარეობს ერთმანეთისგან. მაგ: პერსონალთან დაკავშირებული 0 უბედური შემთხვევია/ინციდენტისთვის დაგეგმილია სამუშაო ინსტრუქციების (SOP) აქტუალიზაცია საჭიროების შემთხვევაში, რომლის შესრულების ვადა განსაზღვრულია „მუდმივად“. სამოქმედო გეგმა არ მოიცავს დეტალურ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად, არ არის განსაზღვრული შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, არ არის დადგენილი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პერიოდულობა, არ არის დადგენილი საჭირო რესურსები, დოკუმენტიდან შეუძლებელია დადგინდეს მისი შესრულების პროგრესი, ვერ იქნა წარმოდგენილი წინა წლის სამოქმედო გეგმის ანალიზი.

#### **აღნიშნულთან დაკავშირებით ფიქსირდება შენიშვნა**

#### 5. **შემაჯამებელი მიმოხილვა**

ორგანიზაციაში ჩატარებულია 2021 წლის საანგარიშო პერიოდისთვის შემაჯამებელი მიმოხილვა, 2022 წლის თებერვალში. დოკუმენტი არ მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ ხარისხის მენეჯმენტის შემაჯამებელი მიმოხილვის ყველა შემავალ და გამომავალ მონაცემს. კერძოდ: დოკუმენტში ვერ წარმოადგინეს წინა წლის რისკებთან დაკავშირებული ანალიზი, მიზნების შესრულების ანალიზი, არ არის დადგენილი რესურსები პროცესების ეფექტურობისთვის საჭირო რესურსები და სხვა სტანდარტით აუცილებელი ინფორმაცია.

#### **აღნიშნულთან დაკავშირებით ფიქსირდება შეუსაბამობა**

#### 6. **დაინტერესებული მხარეები, საჩივრებისა და აპელაციების პროცესი**

აუდიტის მსვლელობისას, ვერ იქნა წარმოდგენილი დაინტერესებული მხარეებისგან შემოსული საჩივრებისა და აპელაციის შესახებ ორგანიზაციაში დადგენილი პროცედურა.

#### **აღნიშნულთან დაკავშირებით ფიქსირდება შენიშვნა**



**7. შეუსაბამო პროდუქტის/სერვისის იდენტიფიცირებისა და გამოსწორების პროცედურა**

აუდიტის მსვლელობისას, ვერ იქნა წარმოდგენილი საქმიანობის შეუსაბამობების იდენტიფიცირების, გამომწვევი მიზეზების კვლევის და პრევენციული ზომების პროცედურები პოტენციური შეუსაბამობების გამოსააშკარავებლად.

**აღნიშნულთან დაკავშირებით ფიქსირდება შენიშვნა**

**8. ორგანიზაციული სტრუქტურა**

საკლასიფიკაციო ორგანიზაცია ფუნქციონირების იჯარის ხელშეკრულებით აღებულ ოფისში. აღნიშნულ შენობაში რამოდენიმე ოთახი ეთმობა ორგანიზაციას, ოთახებში არის ბუნებრივი და ხელოვნური განათება, გათბობისა და გაგრილების სიტემა.

**შენიშვნა: შენობაში ვერ იქნა მოპოვებული საევაკუაციო გეგმა, რომლის მიხედვითაც განთავსებული იქნებოდა ცეცხლმაქრები ან ნიშნულები. არ არის პირველადი დახმარების ყუთი.**

**9. ორგანიზაციული სტრუქტურა**

ორგანიზაციაში დასაქმებულია საერთო ჯამში 6 ადამიანი. შემოწმებული იქნა საკლასიფიკაციო ორგანიზაციის: „თანამშრომელთა შერევის, სამსახურში მიღების, ტრენინგის, ინსპექტირებაზე უფლებამოსილების მინიჭების და მონიტორინგის ინსტრუქცია BSSR-3-0007-Rev1. ასევე საკვალიფიკაციო მოთხოვნების ინსტრუქცია Mn.Jd-04. აღნიშნული ინსტრუქციები დამტკიცებულ იქნა 2021 წლის 28 დეკემბერს, გამომდინარე იქედან რომ აღნიშნული პერიოდის შემდეგ არ მომხადარა ახალი თანამშრომლის აყვანა, ვერ მოხერხდა აღნიშნული პროცესის მიხედვით დასაქმებულ პირთა პირადი საქმის გადახედვა. თუმცა გადაიხედა შერჩევით პირადი საქმე მაგ: ინსპექტორი ოლეგ უპენიკ, პირადი საქმე სრულყოფილია.

**აღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნა არ გაგვარჩნია.**

**10. გაცნობის ფურცელი**

აღნიშნულ პროცესს( BSSR-3-0007-Rev1) აქვს გაცნობის ფურცელი თუმცა არ არის შევსებული თანამშრომელთა მიერ.

**შენიშვნა: მოხდეს თითოეული განხორციელებული ცვლილების/შემუშავებული პროცესის თანამშრომლებზე გაცნობა.**



**11. ნორმატიული აქტების და საერთაშორისო ინსტრუმენტების ცვლილებების კონტროლი.**

შემოწმდა სააგენტოს მიერ განხორციელებული ცვლილების კონტროლი ორგანიზაციის მიერ, თითოეულ ცვლილებაზე ორგანიზაციას შემუშავებული აქვს გაცნობის ფურცელი და თანამშრომელთა მიერ გაცნობის შემდეგ ხდება აღნიშნული ფურცელის შევსება. თუმცა დოკუმენტის ხარისხის იდენტიფიცირების ნომრისა და რევიზიის ნომრის მიხედვით ვერ მოხერხდა დოკუმენტთა გადამოწმება ზემოაღნიშნულ განხორციელებულ ცვლილებებთან მიმართებაში.

**შენიშვნა: განხორციელდას დოკუმენტთა ცვლილებების კონტროლი რევიზიის განახლების საფუძველზე და ცვლილებების დოკუმენტში შეტანა.**

**12. სერვის პროვაიდერები**

ორგანიზაციას გააჩნია სერვის პროვაიდერების ინსტრუქცია BSSR-3-0006 Rev 1, აღნიშნულ ინსტრუქციაში მითითებულია საკლასიფიკაციო ორგანიზაციის აღიარების მოთხოვნები: საერთაშორისო ორგანიზაციის ასოციაციის წევრი ან/და სხვა საკლასიფიკაციო საზოგადოების წევრი.

**შენიშვნა: არ არის გაწერილი სხვა საკლასიფიკაციო ასოციაციის წევრი ორგანიზაციის აღიარების წესები/მოთხოვნები და მოხდას აღიარებული პროვაიდერების ჩამონათვალის შექმნა ინფორმაციის მოგროვება და ორგანიზაციის ვებ გვერდზე განთავსება.**

**13. აღიარებული ორგანიზაციის ვებ-გვერდი.**

საქართველოს საზღვაო კოდექსის მუხლი 4413 , მე-3 პუნქტის შესაბამისად აღიარებული ორგანიზაცია ვალდებულია გააჩნდეს საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდი, სადაც უნდა განთავსდეს ინფორმაცია გემებისთვის კლასის მინიჭების, გადაცემის, შეცვლის, შეჩერების, გაუქმების შესახებ, გემური შემოწმების, რეკომენდაციების, გემისთვის გაცემული კლასის პირობებისა და საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი, კლასისთვის მიკუთვნებული გემების ექსპლუატაციის პირობები და ექსპლუატაციის შუზღუდვების შესახებ. აღიარებულ ორგანიზაციის ვებ-გვერდიზე ნაწილობრივ სრულყოფილად არის განთავსებული შესაბამისი ინფორმაციები.

**შენიშვნა: დაემატოს წესები და ინსტრუქციები და ასევე მცურავი საშუალებების განახლების თარიღი.**



#### **14. შემაჯამებელი ანგარიში.**

აღიარებულ ორგანიზაციას არ წარმოუდგენიათ 2021 წლის შემაჯამებელი ანგარიში, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა გემებზე ჩატარებული შემოწმებების რაოდენობა, შენიშვნები, შეუსაბამობები და რეკომენდაციები, ანგარიში უნდა იძლეოდეს სრულყოფილ ინფორმაციას ჩატარებული სამუშაოებთან დაკავშირებით, ასევე ის უნდა იყოს საჯარო და გამოქვეყნებული ორგანიზაციის ვებ-გვერდზე.

**ფიქსირდება შენიშვნა.**

#### **15. სერთიფიკატების ნუსხა**

ორგანიზაციამ წამოადგინა სერთიფიკატების ნუსხა, სადაც გაწერილია კონვენციებიდან და ეროვნული კანონმდებლობიდან გასაცემი სერთიფიკატების ჩამონათვალი. აღნიშნულ ჩამონათვალში დაფიქსირებული იყო გამონაკლისის სერთიფიკატი.

**შენიშვნა: გამონაკლისის სერთიფიკატის გაცემის კომპეტენცია გააჩნია მხოლოდ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს.**

#### **16. მცურავი საშუალებების პირადი საქმე.**

შემოწმებული იქნა აღიარებული ორგანიზაციის ზედამხედველობაში მყოფი მცურავი საშუალებების მონაცემთა ბაზა. შემოწმდა თევზსაჭერი გემების ZORO, POTI პირადი საქმები. სრულყოფილია და მოწესრიგებულია. გააჩნიათ შესაბამისი ჩანაწერები და შემოწმების დოკუმენტები, თავისი მტკიცებულებებით.

**შენიშვნები არ გაგვაჩნია. ფასდება: დადებითად**

#### **17. ზღვაოსნობაუნარიანობის სერთიფიკატი**

ორგანიზაციის მიერ გაცემულ ზღვაოსნობაუნარიანობის სერთიფიკატი არ არის შესაბამისად გავრცობილი. არ იძლევა მცურავის საშუალების სრულ ინფორმაციას.

**შენიშვნა: მოხდეს აღნიშნული სერთიფიკატის სისრულეში მოყვანა. (დამტკიცებამდე ეცნობოს სააგენტოს)**

#### **18. სასეირნო დანიშნულების სამგზავრო გემები**

ორგანიზაციას არ გააჩნია სასეირნო დანიშნულების სამგზავრო გემების წესები. ორგანიზაცია იყენებს სამგზავრო გემების წესებს. საჭიროა შემუშავდეს და წარედგინოს სააგენტოს შესაბამისი წესები.

**რეკომენდაცია: სასეირნო დანიშნულების სამგზავრო გემების წესების შემუშავება**



**დასკვნა:**

2022 წლის 29 ივლისის მონიტორინგმა დაადასტურა რომ აღიარებული ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს და იხვეწება მათი საქმიანობა, ასევე საქმიანობასთან დაკავშირებული შენიშვნა აღმოფხვრილია სრულყოფილად, ორგანიზაცია ითვალისწინებენ სააგენტოს რეკომენდაციებს.

ხარისხის სისტემასთან დაკავშირებული გაუმჯობესებები მეტყველებს ორგანიზაციის აქტიურ მუშაობაზე. სტანდარტით მოთხოვნილი ყველა სავალდებულო დოკუმენტი წარმოდგენილია, თუმცა მაინც აღინიშნება სისტემური და ნაკლები გათვითცნობიერების გამო დაშვებული გადაცდომები ამ დოკუმენტების შემუშავებისას. ორგანიზაციის ხარისხის მართვის სისტემა ამ ეტაპისთვის ჩაბარებული აქვს ოფის მენეჯერს, რომელსაც სჭირდება სტანდარტის გათვითცნობიერების ტრენინგები, ხოლო შემდგომ, თანამშრომელთა მეტი გათვითცნობიერება და ჩართულობა უზრუნველსაყოფი. დოკუმენტები საჭიროებს განახლებას, დახვეწას, ორგანიზაციაში დანარეგილი ხარისხის სისტემა უნდა იყოს ცოცხალი, ცვლილებებზე ორიენტირებული, რაც აუდიტის მსვლელობისას, რიგ შემთხვევებში ვერ იქნა წარმოდგენილი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია რომ აღიარებულ ორგანიზაციას შეუძლია განახორციელოს საზღვაო კოდექსიდან გამომდინარე შიდა ნაოსნობაში ჩართული გემების ტექნიკური ზედამხედველობა და შენიშვნების აღმოსაფხვრელად ვადა მიეცეს მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე.

მონიტორინგის ჯგუფის წევრების (ხელმოწერები):

დავით ჯინჭარაძე  
მამუკა თავართქილაძე  
თეონა ხაბეიშვილი  
ნინო ასათიანი

ხელმოწერილია  
ხელმოწერილია  
ხელმოწერილია  
ხელმოწერილია